თვითრეგულირებადი სწავლის სტრატეგიების ინტეგრირება დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში საჩხერის N2 საჯარო სკოლის მაგალითზე

თამარ ლორთქიფანიძე

ნინო ქველაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიკო ლობჟანიძე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

თამარ ლორთქიფანიძე , ნინო ქველაძე : 17.06.2023

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი არის პრაქტიკის კვლევის ანგარიში, რომელიც განხორციელდა საჩხერის #2 საჯარო სკოლაში. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა თვითრეგულირებადი სწავლის უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

თვითრეგულირებადი სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში განხორციელდა კვირის გეგმის ინტეგრირება.

პრაქტიკის კვლევის დიზაინის ფარგლებში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. ამავდროულად, კვლევის მსვლელობისას გამოვიყენეთ მეთოდი – დაკვირვება, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები აკვირდებოდნენ ერთმანეთის ჩატარებულ გაკვეთილებს ჩვენ მიერ შემუშავებული რუბრიკის გამოყენებით .

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს 2021-2022 სასწავლო წელს საჩხერის N2 საჯარო სკოლაში განხორციელებული კვლევის “თვითრეგულირებადი სწავლის უნარების განვითარება საჩხერის N2 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მოსწავლეებში”, გაგრძელებას, რომლის მთავარი ინტერვენცია იყო კვირის გეგმით მუშაობა. ჩვენს მიერ შერჩეული ინსტრუმენტების მეშვეობით, შევაფასეთ აღნიშნული ინტერვენციის მდგრადობა, დავადგინეთ, რომ გაუმჯობესებულია თვითრეგულირებადი სწავლის უნარები , ასევე, მოსწავლეები სწავლის პროცესში იყენებენ სწავლის ეფექტურ სტრატეგიებს , კოგნიტურ დიაგრამებს, თუმცა, კვირის გეგმით მუშაობის პროცესი არ აღმოჩნდა მდგრადი , მიუხედავად წარმატებული შედეგებისა , მასწავლებლები არ აგრძელებენ აღნიშნული მეთოდის გამოყენებას სწავლა–სწავლების პროცესში, რაც გამოუწვეულია არასაკმარისი დროით , სკოლის მხრიდან ვალდებულებების არ ქონით . შესაბამისად, მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ინტერვენციად შევიმუშავეთ კონცეფცია და გზამკვლევი , რომელიც სკოლას დაეხმარება თვითრეგულირებადი სწავლის სტრატეგიების ინტეგრირებაში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში .

ძირითადი საძიებო სიტყვები : მეტაკოგნიცია , კვირის გეგმა , თვითრეგულირება , კურიკულუმი, გზამკვლევი.

Abstract

This MA thesis is a report of a practice study that was carried out in Sachkhere #2 public School. In order to promote the development of students' self-regulated learning ability. To integrate self-regulated learning strategies into the elementary school curriculum.

The purpose of our research was to integrate a weekly plan into the elementary school curriculum to improve self-regulated learning skills.

While conducting the practice research,we used both qualitative and quantitative data collection methods, in addition, during the research,we used the observation method, within the framework of which teachers observed each other's lessons using the rubric developed by us.

This master's thesis is a continuation of the research carried out in Sachkhere N2 public school, the development of self-regulated learning skills in the primary grade students of Sachkhere N2 public school, the main intervention of which was working with a weekly plan. Through the tools we selected, we evaluated the sustainability of the mentioned intervention, we found that self-regulated learning skills have improved, and students use effective learning strategies and cognitive diagrams in the learning process, however, the process of working with the weekly plan was not sustainable, despite the successful results, teachers do not continue the mentioned The use of the method in the teaching-learning process, which is caused by insufficient time, lack of commitments on the part of the school. Accordingly, to improve the

situation, we have developed a concept and a guide as an intervention, which will help the school to integrate self-regulated learning strategies into the primary level curriculum.

Key search words: metacognition, weekly plan, self-regulation, curriculum, guide.

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ქალაქ საჩხერის #2 საჯარო სკოლის დირექტორს ქ-ნ ლიკა გომართელს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. გარდა ამისა, მადლობას ვუხდით მე-4 კლასის მასწავლებლებს თამარ ბრეგვაძესა და ქეთევან ფარქოსაძეს, მშობლებსა და მოსწავლეებს აქტიური თანამშრომლობისთვის.
განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი კვლევის აკადემიურ ხელმძღვანელს, ქ–ნ სოფიკო ლობჟანიძეს, საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის გაზიარებისა და დროული სათანადო უკუკავშირისთვის.